



საერთაშორისო კონფერენციებში
მონაწილეობისთვის აკადემიური
კერსონალის და სტუდენტების შერჩევის და
დაფინანსების წესი

ND 2-032

*დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020
წლის 30 ნოემბრის № 18/10 გადაწყვეტილებით*

მუხლი 1. ზოგადი დებულება.....	2
მუხლი 2. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე პირის განსაზღვრა.....	2
მუხლი 3. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის აპლიკანტის განსაზღვრის კრიტერიუმები.....	2
მუხლი 4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე პირის მივლინების შედეგების შეჯამება.....	3





1. ზოგადი დებულება

აღნიშნული წესი არეგულირებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის ასევე, მათი მივლინების დაფინანსებისა და შედეგების შეფასების ზოგად პრინციპებს.

აღნიშნული წესი მიზნად ისახავს საზღვაო აკადემიის სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და განახლებული ტექნოლოგიების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას.

2. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე პირის განსაზღვრა

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება ეძლევა პირს, თუ კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მოწვევა მიღებულია პერსონალურად.

ინსტიტუციური მოწვევის შემთხვევაში საზღვაო აკადემია ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით და მივლინების უფლება ეძლევა პირს, ვინც დაკავებულია კონფერენციაზე განსახილველი საკითხების შესწავლით, მუშაობს შესაბამისი მიმართულებით და შერჩეული აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი თემა პასუხობს კონფერენციაზე განსახილველი საკითხების აქტუალობას.

სამეცნიერო კონფერენციაზე მიწვეულმა აკადემიურმა პირმა, კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა მასზე მივლინების გაცემის შესახებ უნდა წარუდგინოს საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობას.

3. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის აპლიკანტის განსაზღვრის კრიტერიუმები

3.1 აკადემიური პირი

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისავლინებელი პირი განისაზღვრება წინამდებარე წესით შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, კომისიურად. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე აპლიკანტის სამივლინებო დაფინანსების მოსაპოვებელი აუცილებელი პირობაა არანაკლებ 10 ქულის მოგროვება:

1.	საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების დონე	ქულა
	შეფასებისას გათვალისწინებულია სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორის (უნივერსიტეტი, სამეცნიერო ცენტრი, საზოგადოება და სხვა) სამეცნიერო ავტორიტეტი, განსახილველი პრობლემის აქტუალობა, ღონისძიების მასშტაბი და სხვა. ქულის მინიჭება ხდება კომისიის წევრებს შორის კონსენსუსის საფუძველზე.	1-10
2.	აპლიკანტის როლი ღონისძიებაში	
2.1	აპლიკანტი არის ზეპირი მომხსენებელი პლენარულ სხდომაზე	10
2.2	აპლიკანტი არის ზეპირი მომხსენებელი სექციის სხდომაზე	5
2.3	აპლიკანტი ღონისძიებაზე წარადგენს სასტენდო მოხსენებას	3



3.2 სტუდენტი

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის სტუდენტი განისაზღვრება წინამდებარე წესით შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, კომისიურად.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე სტუდენტის სამივლინებო დაფინანსების მოსაპოვებელი აუცილებელი პირობაა არანაკლებ 10 ქულის მოგროვება:

1.	საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ღონე	ქულა
	შეფასებისას გათვალისწინებულია სტუდენტური კონფერენციის/ ღონისძიების ორგანიზატორის (უნივერსიტეტი, სამეცნიერო ცენტრი, საზოგადოება და სხვა) ავტორიტეტი, განსახილველი პრობლემის აქტუალობა, ღონისძიების მასშტაბი და სხვა. ქულის მინიჭება ხდება კომისიის წევრებს შორის კონსენსუსის საფუძველზე.	1-10
2.	აპლიკანტის როლი ღონისძიებაში	
2.1	აპლიკანტი არის ზეპირი მომხსენებელი სექციის სხდომაზე	10
2.2	აპლიკანტი ღონისძიებაზე წარადგენს სასტენდო მოხსენებას	5
3	აპლიკანტის მიერ პრეზენტაციის წარდგენის უნარი	5

4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე პირის მივლინების შედეგების შეჯამება

მივლინებაში მყოფი აკადემიური პირი ვალდებულია მივლინების შედეგების თაობაზე, საზღვაო აკადემიას წარუდგინოს ფინანსური ანგარიში, ხოლო მისი მონაწილეობის, აქტიურობის, განხილული საკითხების მეცნიერული ღირებულების, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან, დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ურთიერთობის, დამყარებული კავშირების, შეთანხმებების, მომავალ ამოცანების შესახებ წერილით აცნობოს საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობას. მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით მივლინებაში მყოფი პირი წარადგენს საჯარო პრეზენტაციას.

მივლინებაში მყოფი სტუდენტი ვალდებულია მივლინების შედეგების თაობაზე, საზღვაო აკადემიას წარუდგინოს ფინანსური ანგარიში. მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით მივლინებაში მყოფი სტუდენტი წარადგენს საჯარო პრეზენტაციას.

1929



ND 2-O32

მოქმედებაშია: 30.11.2020

რევიზიის თარიღი: 30.11.2020

რევიზიის № 1

1 9 2 9